



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისქანდერ მუნში

ისქანდერ მუნში, ისქენდერ ბეგთორქმანი (1560/61-1634), ირანელი ისტორიკოსი, წარმოშობით აზერბ. თორქმანის ტომიდან.

მსახურობდა შაჰ-მუჰამად ხუდაბანდასთან ცხენოსანი ღოღამების კორპუსში. 1592/93 „უმალლესი დივანის“ – „დიდი მდივნების“ რიგებში ჩარიცხეს. მონაწილეობდა შაჰ-აბას I-ის ლაშქრობებსა და მოგზაურობებში.

მას ეკუთვნის თხზ. „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“ („თარხ-ე ალამარაი-ე აბასი“ წგ. 1-2, თეირანი, 1956-57). თხზულება მნიშვნელოვანი პირველწყაროა XVI ს. და XVII ს. I მესამედის საქართვე. ისტორიისათვის: შაჰ-თამაზ I-ის შემოსევები; ქართლის ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ სიმონ I-ის დროს; „ყიზილბაშობის“ შემოღების მცდელობა XVI ს. 60-იან წლებში დაუდ-ხანის მმართველობის დროს; ირან-ოსმალეთის 1555, 1613 ბავები და საქართველოს საკითხი; შაჰ-აბას I-ის მიერ ერევნის ციხის აღება და ქართლ-კახეთის მეფეების მონაწილეობა ამ სამხ. ოპერაციაში, კონსტანტინე კახთბატონის ვერაგობა; შაჰ-აბას I-ის მიერ ლუარსაბისა და თეიმურაზის დანიშვნა ქართლისა და კახეთის მეფეებად (ი. მ. ლუარსაბის შესახებ შენიშნავდა, რომ საქართვე. მეფეთა შორის იგი გამოირჩეოდა თავისი მამაცობითა და გულადობით და არასოდეს თავს არ დებდა მორჩილებისა და მოხარკეობის უღელში); შაჰ-აბას I-ის შემოსევები საქართველოში; ელების ჩასახლება კახეთში; 1615 აჯანყება კახეთსა და შირვანში; ბაგრატ-ხანის და სიმონ-ხანის დანიშვნა ქართლში; გიორგი სააკაძის ეპოპეა; მარტყოფის აჯანყება; მარაბდისა და ბაზალეთის ბრძოლები და სხვა.

ი. მ. იძლევა 1606 თბილისის აღწერას; მას აქვს ცნობები ირანში პოლიტ. და სამხ. ასპარეზზე მოღვაწე ქართველების შესახებ: ბიგვერდი-ბეგ სულთანი, ხოჯასთებეგი, ალავერდი-ხანი, იმამყულიხანი, დაუდ-ხანი, გიორგი სააკაძე, ხოსრო-მირზა, სეფიყული-ხან გურჯი, ჯემშიდ სულთანი გურჯი და სხვ.; ქართველების მონაწილეობა ირანის სამეფო ტახტის პრეტენდენტთა შორის გამართულ ბრძოლაში შაჰ-თამაზ I-ის გარდაცვალების შემდეგ (ზაალ-გურჯი, ალხან-გურჯი). ი. მ-ს აქვს ცნობები ირანში ქართველების კულტ. (სიაოშ-ბეგ გურჯი და სხვ.) და დიპლ. (ქართველ. ქალი გულჩარა) სარბიელზე მოღვაწეობის შესახებაც. ამ თხზულებით სარგებლობდა XVII ს. ქართველ. ისტორიკოსი ფ. გორგიჯანიძე. 1629 ი. მ-მ სეფი I-ის დავალებით დაიწყო თავისი თხზულების წერა „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება“ („ზეილე თარხ-ე ალამ არაი-ე აბასი“). ამ თხზულებაშიც საყურადღებო ცნობებია საქართველოსა და ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ (გ. სააკაძის ცხოვრების ბოლო პერიოდი, მისი დაღუპვა ოსმალეთში, სიმონ-ხანისა და ზურაბ არაგვის ერისთავის ურთიერთობა, მტრობა თეიმურაზ I-სა და ზურაბს შორის, აჯანყება სეფიანთა წინააღმდეგ, ხოსრო-მირზას დანიშვნა ქართლის ვალად, იმამყული-ხანის ოჯახის ამოწყვეტა).

თხზ.: ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969; აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართ. თარგმანები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში (აღმოსავლურთან შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგ. 1 – ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945.

დ. კაციტაძე
